

ბრწყინვალე შუდელში,
ნაცვლად ლოცვანში მითითებული
დილა-საღამოს ლოცვებისა, იკითხება
პასეჟის ჟამნი:

ქრისტე აღსდგა მკუდრეთით, სიკუდილითა სიკუდილისა
დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების
მიმნიჭებელი. (3-გ ზის)

აღდგომა ქრისტესი ვიხილეთ, თაყუანის-ვჰსცეთ წმიდასა
ამას უფალსა დიდებისასა, იესოს, მხოლოსა უცოდველსა და
ესრეთ კმა ვჰყოთ: ჯუარსა შენსა თაყუანის-ვჰსცემთ, მეუფეო,
და წმიდასა აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ,
რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი, და ჩუენ შენსა გარეშე სხუა
ღმერთი არა ვიცით; მოვედით ყოველნი მორწმუნენი, თაყუანის-
ვჰსცეთ ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა აღდგომასა, რამეთუ აჰა,
ესერა მოიწია ჯუარისა მიერ და აღდგომისა სიხარული
ყოვლისა სოფლისა; მარადის ვაკურთხევდეთ ქრისტესა, და
უგალობდეთ აღდგომასა მისსა, რამეთუ ჯუარ-ცუმაჲ თავს-
იღვა ჩუენთუს, და სიკუდილითა სიკუდილი განაქარვა. ("აღდგომა
ქრისტესი" - დან 3-გ ზის)

იპაკოჲ, ჳმაჲ 4.

ცისკარსა მსთუად მოვიდა მარიამ მოყუსებითურთ, და
ჰპოვა ლოდი იგი გარდაგორვებული, და ანგელოსისაგან ესმა
ჳმაჲ საწადელი: ნათელსა შინა სამარადისოსა მყოფსა მას
მკუდართა თანა რად ეძიებთ ვითარცა კაცსა? იხილენით

დაფლვისა მისისა სახუეველნი; წარველით და ყოველსა სოფელსა უქადაგეთ, ვითარმედ სიკუდილი მოკლა მკსნელმან ჩუენმან, და აღსდგა დიდებით, ვითარცა არს ძმ ღმრთისაჲ, და მაცხოვარი კაცთა ნათესავისაჲ.

კონდაკი, კმა 8.

დადაცათუ ნებსით თვისით საფლავად შთაკედ, უკუდაო, არამედ ჯოჯოხეთისა იგი ძალი დაარღვე, და აღმსდგე, ვითარცა მძლე, ქრისტე ღმერთო, ხოლო მენელსაცხებლეთა დედათა ხარებაჲ მიჰმადლე, და მოციქულთა მშულობაჲ მიანიჭე, რომელმან დაცემულთა მიეც აღდგომაჲ.

ტროპარი:

საფლავად ჳორცითა შეხუედ, ხოლო ჯოჯოხეთს სულითა, ვითარცა ღმერთი, და სამოთხეს ავაზაკისა თანა, და საყდართა მამისა და სულისა თანა განუშორებელ იყავ, ქრისტე, რომელი ყოველსავე აღავსებ, გარეშემოუწერელო უფალო, დიდებაჲ შენდა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ვითარცა ნათლით-შემოსილსა, და ვითარცა უმუენიერესსა სამოთხისასა, ესრეთ გიცნობთ შენ, რომელი გამოსჩნდი მკსნელად ყოვლისა სოფლისა, აღსდგე უბრწყინვალესი ყოველთა ნათელთა, ქრისტე, ღმერთო ჩუენო, და გამოსჩნდა საფლავი შენი, ვითარცა წყაროჲ ჩუენისა აღდგომისა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ღმრთისმშობლისაჲ:

ზეგარდმო განწმდილ იქმენ ღმრთისა სამკჳდრებელო, გიხაროდენ, რამეთუ შენ მიერ მიეცემის სიხარული ყოველთა, ღმრთისმშობელო, რომელნი გილადადებენ შენ სიხარულით: კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, ყოველად-უბიწო დედუფალო.

უფალო შეგჳწყალენ. (40-ე ზის)

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

უფალო შეგჳწყალენ. (3-ე ზის)

ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთამთა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგჳწყალენ ჩუენ. ამინ.